საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მინდვრისნემსა

მინდვრისნემსა (Galium verum), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ენდროსებრთა ოჯახისა. მისი ღეროს სიგრძე 20–50 *სმ* აღწევს. აქვს საგველასებრ ყვავილედში თავმოყრილი კაშკაშა ყვითელი ყვავილები. გავრცელებულია ძირითადად ჩრდ. ნახევარსფეროში.

საქართველოში იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპ. სარტყლამდე. ფესვებისგან ამზადებენ მომწვანო-მოყვითალო და წითელ საღებავს. იყენებენ ხალხ. მედიცინაში.